

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N 4

ქ. წალენჯიხა

2024 წლის 11 მარტი

2024 წლის 11 მარტს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი: გიორგი დარსალია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, ნანა ქობალია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე, მაია მიქავა, მანანა ჭანია, დათა კუკავა, ბესიკ ფარცვანია, თენგიზ ფიფია, ზაზა უბილავა, ნანა ლემონჯავა. სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თეა სარია, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი გელა სალია, საკრებულოს აპარატის უფროსი იზოლდა მოლაშებია და თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12⁰⁰ სთ-ზე

სხდომა დასრულდა: 13⁰⁰საათზე

დღის წესრიგი:

1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი: თეა სარია, მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე
მომხსენებელი: გელა სალია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

მოისმინეს: 1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ და განმარტა, რომ რომ დადგენილების პროექტის მომზადება

განპირობებულ იქნა „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 თებერვლის N271 განკარგულებით მიღებული თანხის (2 780 000 ლარი), ასევე „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 თებერვლის N271 განკარგულებით მიღებული თანხის (213 000 ლარი) ასახვის აუცილებლობით.პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას ბიუჯეტიდან.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს შნიშვნები და წინადადებები არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 19 დეკემბერი, (კორნელ სალია, გიორგი დარსალია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, ნანა ქობალია, ირაკლი სალია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე, მაია მიქავა, მანანა ჭანია, დათა კუკავა, ბესიკ ფარცვანია, თენგიზ ფიფია, ზაზა უბილავა, ნანა ლემონჯავა), წინააღმდეგი - არცერთი) მიღებულ იქნა „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის N43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილება N8.

მოისმინეს: 2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე

საკითხი წარმოადგინა მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ და განმარტა, რომ განკარგულების პროექტის წარმოდგენის მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებაში საბაზისო ინფრასტრუქტურა საჭიროდა რეაბილიტაციას, რათა ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებ მოსახლეობას შეექმნათ უკეთესი პირობები. წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღება არ იწვევს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას;

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრმა გელა აბულაძემ უკმაყოფილება გამოთქვა მერიის მიერ წარმოდგენილი, წალენჯიხის ადმინისტრაციულ ერთეულში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე და აღნიშნა, რომ დასახლებების უბნებში შეხვედრებს აქტიურად ესწრებოდა და სულ სხვა აზრი იყო დაფიქსირებული ხალხის მიერ და ოქმში არასწორადაა შეტანილი ეს მოთხოვნები და მერიამ სხვა პროექტები წარმოადგინა. მაგალითად, ზღვაიას უბანში შეხვედრაზე მოსახლეობასთან შეხვედრისას საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ომარ ქარდავამ და წალენჯიხის ადმინისტრაციული ერთეულის რწმუნებულმა მოსახლეობას პირობა მისცეს, რომ გზებზე მოხრეშვითი სამუშაოები ჩატარდებოდა. დღეს კიდევ მერიის მიერ წარმოდგენილ პროექტში სწორედ ეს დაპირებები არის ჩასმული. ქვედა მაზანდარაში შეხვედრისას მოსახლეობამ საბავშვო ბაღისთვის სათამაშოები მოითხოვა და ეს მოთხოვნა არ არის გათვალისწინებული წარმოდგენილ პროექტში. შეხვედრაზე რაც გადაწყდება ის უნდა ყოფილიყო საბოლოო და ოქმში ასახული. ლუდერა-სამცაცხვის დასახლებაზე იყო შეთანხმება, რომ პირველ 3 წელიწადს თანხა ერთ უბანს მოხმარდებოდა, მომდევნო 3 წელიწადი-მეორე უბანს, თუმცა წელს ეს გადაწყვეტილება იგნორირებულია. ხალხმა სასარიოს უბანში სტადიონის გაკეთება მოითხოვა, რომელიც არ არის პროექტში. გელა აბულაძემ აღნიშნა, რომ არ

ეთანხმება არც წარმოდგენილ პროექტს, არც შეხვედრების ოქმებს და ხელიც არ მოუწერია ოქმზე, რადგან ოქმებში მოსახლეობის გადაწყვეტილებები უნდა ჩაიწეროს, რასაც ითხოვენ და არა მერიისა და მათი რწმუნებულის სურვილები.

მომხსენებელი გელა სალია არ დაეთანხმა წარმოთქმულ შენიშვნებს და აღნიშნა, რომ სწორედ შეხვედრებიდან და მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარე არის ოქმები შედგენილი და შესაბამისად, პროექტები ჩასმული სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხაში.

გელა აბულაძის შენიშვნებს გამოეხმაურა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ომარ ქარდავა და განმარტა, რომ შეხვედრებზე მოსახლეობას მართლაც დაპირდნენ გზის ნაწილის მოხრეშვას და რადგან ადგილობრივი ბიუჯეტი ამას ვერ გაწვდებოდა, ნაწილობრივ მისი დაფინანსება სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან განხორციელდება. მან ასევე აღნიშნა, რომ მერიის მიერ წარმოდგენილ პროექტებს ქალაქის მაჟორიტარი იმიტომ არ ეთანხმება, რომ გასულ წელს როგორც მათ უნდოდათ ისე გადაწყდა და წელს კიდევ პირიქით, მოსახლეობას როგორც სურს ისე გადაწყდება. საკითხის დროში გაწელვა და გადადება ცუდ შედეგამდე მიგვიყვანს, ხალხს როგორც უნდოდა ისე არის შედგენილი ეს პროექტები და ისე ნუ იზამთ, რომ მთლიანად დავკარგოთ თანხა. სჯობის მხარი დავუჭიროთ საკითხს და ხალხის არჩევანს პატივი ვცეთ.

სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ მომხსენებელს მიმართა კითხვით თუ რამდენად რეალური იყო პროექტებში გათვალისწინებული ჭაბურღილის პროექტი 12 ათას ლარად, რასაც მომხსენებელმა უპასუხა, რომ ეს მოსახლეობის გადაწყვეტილება.

ქ.წალენჯიხის ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელმა ლელა ხარჩილავამ გამოთქმულ შენიშვნებს უპასუხა და აღნიშნა, რომ შეხვედრებისას ბევრი რამ იყო განხილული, მოთხოვნაც ხალხს ბევრი ჰქონდა, თუმცა თანხის სიმწირიდან გამომდინარე ხალხმა არჩევანი უფრო პრიორიტეტულ საკითხებზე შეაჩერა, როგორებიცაა წყალი, გზა და ა.შ. სტადიონი და გართობა უფრო მეორე ხარისხოვანი მოთხოვნა და თანხა ყველაფრისთვის არ იყო საკმარისი პირველი რიგის პრობლემა წყლი და გზა და ამ დროს სტადიონებზეა სატბარი, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. რაც შეეხება სააბავშვო-ბაღის სათამაშოებს, სკოლამდელი აღზრდის ცენტრს გააჩნია თავისი ბიუჯეტი და იქიდან დაფინანსდება სათამაშოების შესყიდვა. ასევე, შენიშვნის სახით დასახელებულ, ზღვაიას დასახლებაში გზის მოხრეშვას, მას 11 ათასი ლარი არ ჰყოფნიდა და ამიტომ, გარკვეული ნაწილის განხორციელება მოსახლეობამ სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან გადაწყვიტა.

საკრებულოს წევრმა ბესიკ ფარცვანიამ აღნიშნა, რომ სოფლის კრებები იმიტომ ტარდება, რომ კრებებზე უნდა გადაწყდეს მოსახლეობის აზრი და საბოლოოდ უნდა აისახოს კრების ოქმი. საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა შენიშვნები და წინადადებები არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარე კორნელი სალიამ, განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე. ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 19 დეპუტატი, (კორნელ სალია, გიორგი დარსალია, თემურ ქარდავა, ომარ ქარდავა, რომან კვარაცხელია, რაისა ჩანგელია, მამუკა მიქაელი, დათო მესხია, ნანა ქობალია, ირაკლი სალია, გონიერ კვარაცხელია, გელა აბულაძე, მაია მიქაელი, მანანა ჭანია, დათა კუკავა, ბესიკ ფარცვანია, თენგიზ ფიფია, ზაზა უბილავა, ნანა ლემონჯავა), წინააღმდეგი - არცერთი) მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე განკარგულება N9.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე

